

K 211 492
3



3. ნაცვლიერი
0. გურდული
- თ. პიროვნიერი





3. ნაცვლიანობი
0. შენდელი
0. პირის დროული

ლაქტონის დასახმარებლად

პაზის პრესენტაციული დაკვადვანი

სკოპ-2000
უავრაშვერულია

632.3/4: 6348

ପ୍ରଥମ ମୁଦ୍ରାଖତି



୩ ୦ ୬ ୧ ୧ ୬ ୬ ୦

ଗାନ୍ଧାରୀଶ୍ଵରପୁରାଣ ପାଠୀଲପ୍ରେଣ ଲା ବ୍ରିଜିଂଲମାରପ୍ରକଳିନୀ
ନିବାଦୁଗଣ ଶ୍ରୀମଦ୍ଭାବିତ୍ତିଶ୍ଵର ଉତ୍ସମ୍ଭବପ୍ରକଳିନୀ ନାମପ୍ରକଳିନୀ ଏବଂ ଶିଶୁପାତ୍ର
ମନ୍ଦିରପୁରାଣ ଲାଭିନ୍ଦବାନୀ
ରୂପମିଶ୍ରନାମପ୍ରକଳିନୀ

3

13

25

ISBN 5-89512-019-9

© ସାହେବାନନ୍ଦନ ପାତ୍ର
ପାଠୀଲପ୍ରେଣ ପ୍ରକଳିନୀ, 1989

ମୁଦ୍ରାକ୍ଷରଣ ନା. ପ୍ରକାଶିତିକାଳି

ପାଠୀଲପ୍ରେଣ ମିଶ୍ରନାମ ନା. ଶାରୀରାଶିକାଳି

ଗାନ୍ଧାରୀଶ୍ଵର ପାଠୀଲପ୍ରେଣ 15. 05. 89. କ୍ଷେତ୍ରପାତ୍ରିକା ଲାଭିନ୍ଦବାନୀ 2. 11. 89.
ପାତ୍ରିକାଲିମା ପାତ୍ରିକା 84 X 108^{1/22}; ନାମପାତ୍ରିକା 1,68; ସାଲର.-ସାମାଜି-
ମୁଦ୍ରପାତ୍ରିକା ତାବାକି 1,4

ଟଙ୍କା 08433

ମୁଦ୍ରାକ୍ଷରଣ 31.000

ପ୍ରକଳିନୀ 1136

ପ୍ରକଳିନୀ 10 ଟଙ୍କା.

ପାଠୀଲପ୍ରେଣ ପାତ୍ରିକାଲିମା ପାତ୍ରିକାଲିମା
ପାଠୀଲପ୍ରେଣ ପାତ୍ରିକାଲିମା
ପାଠୀଲପ୍ରେଣ ପାତ୍ରିକାଲିମା

სადღეისოდ დიდი ამოცანებია დასახული საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

ამ ამოცანათა წარმატებით გადაჭრისათვის შევენანეობის აგრძლონისძიებებთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მავნებელთა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლას, აგრძელვე ვაზის ისეთ დაზიანებებს, რომელთაც კავშირი არა აქვთ მავნებლებთან და დაავადებებთან, მაგრამ დიდ ზიანს აუნებენ ვაზს.

ვაგოტაცის პერიოდში ბშირად შეინიშნება ვაზის ზრდა-ვანვითარების შევეთრი შემცირება, ყლორტების კენობა, სილამწვრე და სხვა...

ეს დაზიანებები ხშირად ავადმყოფობით გამოწვეულ სიმ-ტომებსაც ემსგავსება. მაგრამ ისინი არც სოკოვანი დაავა-დებით არის გამოწვეული და არც მავნებელთა მოქმედებით. ასეთი დაზიანება შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც გარემო ფაქტორების არასასურეელი პირობებით, ისე იგრი-ლონისძიებათა კომპლექსის არასწორი გატარებით. მათი გა-მოიწოდით შესაძლებლობა მოგვეცემა ღრმულად გამოვასწო-როთ დაზიანებული ვაზი, აღვაღვინოთ მისი სიძლიერე და მის ზრდა-ვანვითარებას მოვცეთ სასურველი პიმართულება, გავ-ზრდოთ მოსაფრინობა.

ნაშრომში ქვემოთ თანმიმდევრობით განვიხილავთ დაზია-ნების სახეებს და მათთან დაკავშირებულ საკითხებს.

გადაკარგებული ჩვავილცვენა და წვრილზარცვლიანობა

უურძნის მაღალი მოსაფრინის მიღება უშუალოდ დამოკი-დებულია ვაზის ნორმალურ დაყვავილებაზე. ვაზის კვირტში ყვავილების ჩასახვა-ფორმირება წინა შლის გაზაფხულზე იწყება, ვითარდება შემოდგომა-ზამთრის. პერიოდში, ხოლო

მომდევნო გაზაფხულზე იშლება, დაყვავილდება და მტევნიდ
გარდაიქმნება. ორის შემთხვევები, როდესაც ნორმალური
განვითარებული ყვავილები ყვავილცვენის განიცლიზნ, მტევნები
რი, ანომალური ყვავილცვენის შედეგად მტევანი ჰქისფერია კა
განვითარდება, ანდა იძლევა თხელ მტევანს, რასაც თან სდევს
მოსავლიანობის მკეთრი შემცირება.

ვაზის ყვავილების ნაყოფად გარდაქმნა დამოკიდებულია
სავეგატაციო პერიოდში არსებული გარემო ფაქტორების თა-
ვისებურებაზე. ანომალიური ყვავილცვენა მაშინ ხდება, რო-
დესაც ყვავილი ნაყოფად არ გარდაიქმნება. ყვავილცვენა შე-
იძლება იყოს კონსტიტუციური, ფიზიოლოგიური, კლიმატუ-
რი და პათოლოგიური.

კონსტიტუციური ყვავილცვენა. ვაზის ზოგიერთი ჯიშის
ყვავილი ანომალიური აგებულებისაა. ისინი ფუნქციონალუ-
რად მდედრობით ყვავილს ივითარებენ, რომელთაც აქვთ ნაკ-
ლებ აქტიური მოქლე მტევნები და თავისი მტერით არ ნაყო-
ფიერდებიან (ნიმრავი, ცოლიკაური, ბაზალეთური, თავკვერი
და სხვა). ასეთი ყვავილების მქონე ვაზის ჯიშები ძლიერი
ყვავილცვენით ხსნათდება. ხასკვის გაუნაყოფიერებლობის
გამო ისინი ივითარებენ უწიპწო წვრილ მარცვლებს და
თხელ მტევნებს. სათანადო ღონისძიებათა ჩატარების გარეშე
ძლიერ დაბალი მოსავალი მიიღება.

ფუნქციონალურად მდედრობითი ყვავილის მქონე ჯიშები
უნდა გაშენდეს ორივე სქესის ძლიერ დამამტვერიანებელ ჯი-
შებთან ერთად. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ხშირად სა-
ჭიროებენ ხელოვნურ დამტვერვას. ხელოვნური დამტვერვა
ორსქესიანი ვაზის ჯიშებზედაც უზრუნველყოფს ნორმალურ
განვითარებას. განსაკუთრებით კარგ შედეგს იძლევა ისეთ ჯი-
შებზე, რომელთაც აქვთ ყვავილცვენისაღმი მიღრეკილება და
ამის გამო თხელ მტევნებს ივითარებენ (საფერავი, კახური,
მწვანე და სხვ.). დამატებით ხელოვნური დამტვერიანება უნ-
და ჩატარდეს ყვავილების ერთ მესამედზე ვაშლისა და მა-
სობრივი ყვავილობის დროს, დილის საათებში.

ფიზიოლოგიური ყვავილცვენა. გამოიხატება ყვავილობის
დაწყებამდე მტევნის პწელად გარდაქმნაში და ნაყოფის ცვე-
ნაში დაყვავილების შემდეგ. ეს დამოკიდებულია ვაზის ბიო-
ლოგიურ თვისებურებაზე, რაც თავს იჩენს განსაკუთრებით

ძლიერი ზრდის დროს, აგრეთვე საძირე ვაზის ჭიშხე. საბოლო
ვაზის ზოგიერთი ჯიში ძლიერი ზრდის შედეგად ეწილება მუხა
ზე დაყნილი ვაზის სწრაფ ზრდას, რაზედაც ისტორიული საზოგადოებრ
ნივთიერებათა დიდი რაოდენობა, ეს კი თავის მხრივ იწვევს
გადაჭარბებულ ცვავილ ცვენას.

ასეთი სახის ცვავილ ცვენა შეგვიძლია ნაშილობრივ თავი-
დან ავიცილოთ ყლორტების წვერების წაწყვეტით, რაც გა-
აწონასწორებს ცალკეული ყლორტების ზრდას, ხელს შეუწ-
ყობს სამამულე ყლორტების უკეთ განვითარებას და შემდ-
გომ წელს მაღალი მოსავლის მიღებას. ეს ოპერაცია უნდა ჩა-
ტარდეს ცვავილობის დასაწყისში, რათა შემცირდეს საკვებ
ნივთიერებათა გადაჭარბებული ხარჯვა ზრდაზე, მთელი ენერ-
გია მოხმარდეს დაცვავილებას. ამის შედეგად ცვავილელი
უკეთ განვითარდება, ცვავილ ცვენა შემცირდება და მტევანზე
მარცვალი გამოინასკვება. წვერების წაწყვეტა ტარდება ცვე-
ლი ყლორტზე, ვარდა სამამულებრივ განვითარებული ყლორ-
ტებისა და იმ ყლორტებისა, რომლებიც გამიზნულია გადა-
საწვენად.

წვერების წაწყვეტა მოხდება ყლორტების წვერების მოცი-
ლებით. ამ ოპერაციის ჩატარებასთან ერთად, მხედველობი-
დან არ უნდა გამოვვრჩეს ნამხრის შეცლა, ვენიდან. თუ წვე-
რები წავაწყვეტეთ და ნამხარი შეუცვლელი დავტოვეთ, ამ
ოპერაციის ჩატარებას ეფუძრია არ ეჭნება, პირიქით, ჩისი შე-
ცლელობა გამოიწვევს უფრო მეტ ცვავილ ცვენას.

ტრაგელსაპრალი კლიმატური პიროგებით გამოწვევაში ცვავილ ცვენა

წვიმები, პარის დაბალი ტემპერატურა უარყოფითად
მოქმედებს დაყვავილებაზე. წვიმები ხელს უშლის შტვრის
გავრცელებას, რის გამოც განაყოფიერება ძნელდება და მტე-
ვანი მეჩხერი გამოდის.

ცვავილობის პერიოდში, განსაკუთრებით მაშინ, თუ თბი-
ლი ამინდების შემდეგ ცივი ამინდი დადგა, ცვავილი არა-
თანაბრად იშლება, ცვავილობა გრძელდება, განაყოფიერება
ერთდროულად არ ხდება და გამონასკვის პროცენტი მცირ-
დება.

პათოლოგიური ცვავილ ცვენა გამოწვეულია შავნებლებისა

და ავადმყოფობებისაგან როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზემოქმედებით, რასაც უნდა ვებრძოლოთ მოქმედი პესტიციდებით.

კვირტების გაცდენა. გაზაფხულზე კვირტების განუვითარებლობა — და შეჩერება აიხსნება გასული წლის ჩემის არასრული შემოსვლის შედეგად კვირტების განუვითარებლობით. ასეთი ვაზი სხვადასხვა ხარისხით ზიანდება ზამთარში დაბალი ტემპერატურის ზემოქმედებით; რაც უკეთ არის რქა მომწიფებული, მით ნაკლებია დაზიანება. კვირტების განვითარების დაყოვნება ხშირად გამოწვეულია ტემპერატურის დაწევით და დამოკიდებულია სიცივის დაღვოშის პერიოდსა და მის ხანგრძლივობაზე.

რქის ცუდი მომწიფება შეიძლება განპირობებული იყოს მოსავლიანობის გაზრდის მიზნით ვაზის გარდატვირთვით, ვეგიტაციის დასასრულს ნიადაგში არსებული ჭარბი აზოტის და ტენის შედეგად გამოწვეული ძლიერი ზრდით, მავნებელთა და დაავადებათა შედეგად ფოთლების დაკარგვით და ზაფხულის ბოლოს იხალი ყლორტების ზრდით, კალიუმის ნაკლებობით, ვაზის განვითარების წლიური ციკლის დარღვევით და ა. შ.

სხვა მცენარეებთან შედარებით, ვაზი აზოტის ნაკლებ მომთხოვნია. ისეთ ნიადაგში, რომელიც აზოტით მდიდარია, აზოტიანი სასუქის დიდი რაოდენობით შეტანამ შეიძლება გამოიწვიოს კვირტების ცუდად განვითარება ან განუვითარებლობა, ყვავილცვენა, მცირე რაოდენობის თანაყვავილებების განვითარება.

კვირტების განვითარების შეყოვნება და განუვითარებლობა, ჩვეულებრივ ემჩნევა ვაზებს ვენახის მხოლოდ ცალკეულ ნაკვეთებში, იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც კვირტის გაცდენა მასობრივ ხასიათს იღებს; ხელსაყრელი პირობების დაღვოშისთანავე, ხშირად 2-3 კვირის დაგვიანებითაც, კვირტი იწყებს განვითარებას და ზოგჯერ აღრე გამოსულ ყლორტსაც ასწრებს. ვაზის მოვლით სამუშაოებს თუ შეეცირისპირებთ ტენით უზრუნველყოფას, ნიადაგის პირობებს, მინერალურ ნივთიერებათა შემცველობას და მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლას, შესაძლებელი გახდება ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტა.

ვაჲის დაზიანება შალალი ტემპერატურის დროს. გამოცხულის ბოლოს, როდესცა ვაზი სწრაფად იზრდება, ტემპერატურის უეცარმა აწევამ შეიძლება გამოიწვიოს ყლორტების წვეროების მოდუნება და კენობა, ეს მოვლენა შეაწმადგენს უესეთა სისტემის მიერ წყლის შეთვისებისა და ფოთლების მიერ მისი ოორთქლების წონასწორობის დარღვევის შედეგს. დაზიანება უფრო ძლიერდება, თუ ტემპერატურის უეცარ აწევას თან ახლავს პაერის სიმშრალე (ხორშაკი). ამ შემთხვევაში ყვავილების განვითარება არ ირლვევა, ყლორტების ზრდა კი მცირე ხანს ჩრდება. რამდენიმე დღის შემდეგ ვაზი კვლავ იბრუნებს ნორმალურ მდგომარეობას და ყლორტების ზრდის დროებით შეჩერება მოსავლიანობაზე საგრძნობ გავლენას არ ახდენს.

სიცხემ შეიძლება აენოს ვაზს: შესაძლებელია ნაყოფის გამნასკვიდან ყურძნის დამწიფებამდე ცალკეული მარცვლის, კუფხლის და მთელი მტევნის დაჭრნობა და გახმობა. ზოგჯერ ზიანდება მხოლოდ უშუალოდ მზეზე მითიცხებული მტევნები. დაზიანებული მარცვალი იჭმუჭნება, მოწითალო-ყავისფერი ხდება, ხმება და ცვივა. ამ მოვლენას მზით დამწვრობა, ანუ არუცვა ეწოდება.

ხშირად დაზიანება შეინიშნება მტევნის კლერტზე. პირველი დაზიანებიდან რამდენიმე დღის შემდეგ კლერტის ცალკეული ნაწილი ხმობას იწყებს. კლერტის მეტ ნაწილზე ჩნდება დაზიანებული უბნები, რომლებიც იძენენ ყავისფერ ან მურა შეფერვას. დაზიანებული კლერტის ნაწილზედაც მარცვლები ჰქნება და ხმება.

მაღალი ტემპერატურის შედეგად გამოწვიული ვაზის დაზიანება შეიძლება ნაწილობრივ ივიცილოთ თავიდან ვენახის მორწყვით და ნიადაგის ხშირი ზედაპირული დამუშავებით.

დაზიანებულ მტევანს ზაფხულის დასაწყისში გამხმარი ნაწილი სწყდება ყურძნის დამწიფებამდე. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მარცვალი ჰქნება, ხოლო კლერტის დაზიანება შეუმჩნეველი რჩება. გარკვეული დროის შემდეგ კი მტევანი კლერტიანად ხმება.

კარგი, დახელოვნებული გასხვლით, წესიერი რწყვით, მწვანე ოპერაციებისა და სხვა აგროლონისძიებათა სულისტული მიწოდება არ 7

და სწორი გატარებით შესაძლებელია შემცირდეს მართვა
ტემპერატურისა და მზის უშუალო მოქმედების უარყოფნით
გავლენა ვაზზე.

გვალვა. ვაზი შედარებით გვალვაგამძლე მცენილებულია
შეძლება იხაროს ნიაღაში ტენის მცირე რაოდენობის შემ-
თვევაშიც, მაგრამ ყველაზე მაღალი მოსავალი მაინც იმ
სარწყავი ვენახებიდან მიიღება, სადაც მცენარე უზრუნველ-
ყოფილია წყლით მთელი ვეგეტაციის მანძილზე. ვაზს აქვს
უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს გვალვას და იარსებოს ისეთ
პირობებში, სადაც სხვა კულტურული მცენარე ვერ ძლებს,
მაგრამ რიგ შემთხვევაში შეიძლება დაიღუპოს კიდეც. ნია-
ღაში ტენის ნაკლებობამ, პაერის სიმშრალემ და ინსოლაციაშ
შეიძლება დააზიანოს მცენარე. გვალვის დამაზიანებელი მოქ-
მედება მკვეთრად მოჩანს ძლიერ გადატვირთულ მოსავლიან
ვაზებზე.

გაზიაფხულზე, გვალვის დროს, ვაზი კარგავს წყალს, გან-
საკუთრებით გასხვლისას მიყენებული კრილობებიდან.

ზაფხულში გვალვების გამო ფოთლის კიდეებზე შეიმჩნევა
წყვეტილი სიყვითლე, გაძლიერების შედეგად წარმოიქმნება
სხვადასხვა სიდიდის ყვითელი არშია. სიყვითლე კრეცხვდება
ფოთლის ძარღვებს შორის. შემდგომ ფოთლის კიდეებიც ზი-
ანდება და ზოგ შემთხვევაში ხმება კიდეც.

გვალვიან ზაფხულში მშრალ ნიაღაში მტევანი ბოლოდან
იწყებს კენობას და მარცვილი, რომელიც პირველად დაზი-
ანდება, მთლიანად ხმება. ეს მოვლენა უმეტეს წილად გა-
მოწვეულია მზის სხივების უშუალო მოქმედებით სიმწიფის
დასაწყისში.

დაზიანება შეიმჩნევა აგრეთვე ისრიმობიდან სრული სიმ-
წიფის დამთავრებამდე. დაზიანებული მარცვლის ერთ მხარეს
ჩნდება მუქი მწვანე ლრმული, ფოსო, ისეთი, როგორიც შე-
ინიშნება ნაცრისფერი სიღამპლის განვითარების დროს.

აქედან გამომდინარე, ურწყავ აღგილებში ვაზი შედარე-
ბით ნაკლებად უნდა დაიტვირთოს, აუცილებელია ხშირი კულ-
ტივაცია და სარეველა მცენარეების მოსპობა. პერიოდული
ლრმა გაფრთვიერებით უნდა უზრუნველვყოთ ნიაღაის ლრმა
ფენებში ტენის დაგროვება-შენარჩუნება.

დამლაშებული ნიაღავი. დამლაშებული ნიაღაები ფარ-

თოდ არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში და ალაზნის, ივრისა და მტკვრის დინების შუა და ქვემო წილში. დამლაშებული ნიადაგების ყველაზე დიდი შემოგრძელება გვხვდება ალაზნის ველზე (მარჯვენა მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში), გარე კახეთში (ტარიბანი, ჩათმა, ლაქეს დაბლობი) და ელდარის ველზე. ეს ნიადაგები მეტ-ნაკლებად ვრცელდება შუა და ქვემო ქართლის დეპრესიებშიც.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამლაშება მკეთრად ამცირებს კულტურათა მოსავლიანობას, რითაც გამოწვეული ზარალი მიმმე ტვირთად აწვება სოფლის მეურნეობას.

მარილთა ტოქსიკური მოქმედებისაღმი სხვადასხვა მცენარეს სხვადასხვა გამძლეობის უნარი აქვს. ვაზი მიეკუთვნება უმცირესი მარილგამძლეობის მცენარეთა ჯგუფს. მას შეუძლია, ნორმალურად განვითარდეს და მოსავალი მოგვცეს ისეთ ნიადაგებზე, რომლებშიც მარილთა შემცველობა 0,3-0,4 პროცენტს არ აღემატება, ნიადაგში მარილების 0,4 პროცენტზე მეტი შემცველობა იწვევს ვაზის დასუსტებას და მოსავლის მკეთრ შემცირებას. მარილების საერთო რაოდენობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მის სახეობრივ შემაღვენლობას, გრუნტის წყლის სილრმეს, მისი დამლაშების ხარისხს, ნიადაგის მექანიკურ შემაღვენლობასა და ფიზიკურ თვისებებს.

მარილების მავნე მოქმედება პირველ რიგში ვაზის ყლორტის წვეროებსა და ფოთლებზე შეიმჩნევა. ფოთლებში მარილების დაგროვების გამო, ფოთლის ფირფიტა ყავისფერი ლაქებით იფარება და ყვითლდება. ძლიერი დაზიანების დროს ფოთლები და ყლორტების წვეროები განიცდის დეფორმაციას (მტკრევადი ხდება), ფოთლებზე შეიმჩნევა მარილის კრისტალები, რის გამოც ისინი კვდებიან და ცვივიან. ასეთი დაზიანება გამოშვეულია ფოთლებსა და ყლორტის წვეროებში ქლორიანი მარილების დიდი რაოდენობით დაგროვების გამო. ეს მოვლენა ცნობილია „მარილების სიღამწვრის“ სახელით.

დამლაშებულ ნიადაგებზე ვენახის გაშენებამდე უნდა ჩატარდეს ნიადაგის მელიორაციული სამუშაოები მოთაბაშირებით, საღრენაჟო არხების მოწყობით და ჩარეცხვით, მავნე მარილების განეიტრალებით და სხვა საშუალებათა გამოყენე-

ბით. ამას გარდა, საჭიროა ასეთ ნიაღაგებზე გასაშენებლივ
შეიჩინეს შედარებით მარილგამძლე საძირე ვაზის ჯიშები:

კარბტუტიან ნიაღაგებზე ვაზი სუსტი ზრდა-გრძელებულისა
ბით და მოკლე მუხლოშორისებით ხასიათდება, იყითარებს
მცირე ზომის ფოთლებს; ნიაღაგის გამოშრობისას, ცხელ აძი-
ნდში, ფოთლებზე კლინილება სიდამწვრეები — დამლაშებით
გამოწვეული სიდამწვრეების მსგავსად. ფოთლებზე ზოგჯერ
ძირითადად ძარღვებს შორის წარმოიქმნება ქლოროზელი
უბნები. არის შემთხვევები, როცა ვაზი ერთი ან რამდენიმე
წლის მანძილზე კარგად ვითარდება, მაგრამ ბოლოს მანქც
შუა ზაფხულობით ფოთლები იწვის, წყვეტს ზრდა-განვითა-
რებას, ან კიდევ — ხმები და ცვივა.

გრილმა ამინდმა და მორწყვამ შეიძლება გამოიწვიოს ზრდა
ახალი ყლორტებისა, რომლებიც ზოგჯერ ვერ ასწრებენ შე-
მოსელას და ზამთრის მცირე ყინვებისგანაც იღუპებიან. ამი-
ტომ კარბტენიან ნიაღაგებზე გაშენებული ვენაზი არასაიმე-
დოა.

დაზიანების თავიდან ასაკილებლად, დამლაშებულ და
კარბტენიან ნიაღაგებში უნდა შემცირდეს მავნე მარილების
რაოდენობა. ჩვეულებრივად ხდება ნიაღაგის ჩარეცხვა. კარბი
ტუტის შემთხვევაში კი იყენებენ მელიორაციულ საშუალე-
ბებს. მაგალითად, თაბაშირს ან გოგირდს.

ყინვისაგან დაზიანება. ყინვისაგან ვაზი შეიძლება დაზიან-
დეს როგორც ზამთრის პერიოდში, ისე ადრე გაზაფხულსა და
შემოდგომაზე. დაზიანების ხასიათისა და ღროის მიხედვით
გაირჩევა სამი შემთხვევა:

1. ახლადგაღვიძებული კვირტებისა და ნორჩი ყლორტების დაზიანება წაყინვით — ადრე გაზაფხულზე;

2. ფოთლებისა და იშვიათად ყურძნის დაზიანება შემოდ-
გომის წაყინვებით;

3. დაზიანება ზამთრის ძლიერი ყინვებით.

ზამთრის მეტად ყინვებმა შეიძლება დააზიანოს ვაზის
მიწისზედა ნაწილები. ყინვისაგან ვენაზის დაზიანება დამოკი-
დებულია ყინვის ინტენსიონიაზე, ვაზის ჯიშების ყინვაგამძლე-
ობის უნარზე, ყინვის ხანგრძლივობაზე, ნაკვეთის აღვილმდე-
ბარებასა და რელიეფზე, წინა წლის მეტეოროლოგიურ პი-
რობებზე, მავნებელ-ავადმყოფებათა მიერ ვაზის დაზიანების

ხარისხზე და ზოგიერთ აგრძოლონისძიებათა ჩატარებას. 100-
თარში, სრული მოსვენების პერიოდში, კულტურული ფაქტები
უმრავლესი ჯიშები — 12 გრადუსამდე ყინვები და სამუშაოები
ყინვის გაძლიერება — 12 გრადუს ქვემოთ იწვევს კვირტის
დაზიანებას, — 18 გრადუსის დროს ზიანდება კარგად მომ-
წიფებული რქა, ხოლო — 20 გრადუსზე შესაძლებელია მრა-
ვალწლიანი ნაწილების გახმობა და ვაზის მთლიანად დაღუპ-
ვა. დაბალი ტემპერატურის მოქმედება დამოკიდებულია მის
ხანგრძლივობაზე. ასე მაგალითად, ნორმალურ პირობებში თუ
ვაშს — 12 გრადუსზე მხოლოდ კვირტების მცირე პროცენტი
უზიანდება, იმავე ტემპერატურის ხანგრძლივა მოქმედებამ
შეიძლება გამოიწვიოს მათი უფრო მეტად დაზიანება და ერ-
თწლიანი რქების გახმობაც.

ძლიერ გადატვირთული ვენახი ვერ ასწრებს არა თუ ყურ-
ძის სრულ დამწიფებას, არამედ ერთწლიანი რქის შემოსვ-
ლასაც, რომლებზედაც მცირე ყინვებიც კი დამლუპველად
მოქმედებს. ასევე დიდ ზიანს აუენებს ყინვები მავნებლებისა
და ავადმყოფობებისაგან დაზიანებულ ვაზს. მავნებელთა და
ავადმყოფობათა მიზეზით ხდება რა ვაზის ფოთლის დაზია-
ნება, ამას შედეგად მოსდევს მათი ნააღრევი ჩამოცენა, რის
გამოც შეწყდება ასიმილაცია და რქა შემოუსვლელი ჩეხება.
შეიძლება შეგვხვდეს ყინვისაგან დაზიანების შემდეგი სახე-
ები:

1. დაზიანებული იყოს ძირითადი კვირტები, ხოლო შემც-
ვლელი კვირტები გადარჩენილი — მოსავლის ნაწილი შემცვ-
ლელი კვირტებით იქნება აღდგენილი;

2. შეიძლება ძირითადი და შემცვლელი კვირტები მთლია-
ნად იყოს დაზიანებული. ასეთ შემთხვევაში დაიკარგება მიმ-
დინარე წლის მოსავალი;

3. შეიძლება ერთწლიანი რქები მთლიანად იყოს დაზია-
ნებული, ხოლო მრავალწლიანი რქები ნაწილობრივ. ასეთ
შემთხვევაში მიმდინარე წლის მოსავალი მთლიანად დაიკარ-
გება და იგი მომდევნო წლის მოსავალზედაც უარყოფით გავ-
ლენას მოახდენს.

შესაძლებელია ვენახში შეგვხვდეს ყინვისაგან დაზიანების
ყველანაირი შემთხვევა. ამიტომ სიფრთხილე უნდა გამოვი-
ჩინოთ და შეუმოწმებლად ვაზის გასხვლა არ დავიწყოთ. წი-

ნასწარ უნდა გამოირკვეს, რა სიძლიერით არის ვაშა და
ნებული და იმის მიხედვით განისაზღვროს მისი გასხვლის
ფორმა და დატვირთვის ოდენობა. ყინვისაგან უმატებეს და
დადგენა შესაძლებელია ძლიერი ყინვების გავლის შედებ
თბილ კამერაში აქრილი რქების გასაღიცებლად მოთავსებით.
ყინვების დამთავრებილან 10 დღის შემდეგ გამოააშეარავ-
დება ყინვით დაზიანების შედეგები.

მოყინულ ვენახებში წინასწარ უნდა დადგინდეს დაზია-
ნების ხარისხი ნაკვეთებისა და ჯიშების მიხედვით და დაზია-
ნების შესაბამისად გამოყენებულ იქნეს გასხვლის შემდეგი
წესები:

1. თუ დაზიანებულია მხოლოდ ძირითადი კვირტების ნა-
წილი, უნდა დადგინდეს დაზიანების პროცენტი და ამის შე-
საბამისად გადიდდეს ვაზის დატვირთვა. დატვირთვა შეიძ-
ლება გადიდებულ იქნეს სანაყოფე რქების რაოდენობის გაზ-
რდით და გრძელი სხვლით. ეს წესი განსაკუთრებით ისეთ
ვაზებზე უნდა გამოვიყენოთ, რომლებზეც ფურქსთან ახლოს
მდებარე კვირტებია დაზიანებული. თუ ბაზისის კვირტებია
გადარჩენილი, ჩატარდება მოკლე გასხვლა რქების რაოდე-
ნობის ვაზრდით.

2. თუ დაზიანებულია ძირითადი კვირტების უმეტესი ნა-
წილი, ხოლო ერთწლიანი რქა და შემცვლელი კვირტები დაუ-
ზიანებელია. მოსავლის ნაწილის იღდენა შესაძლებელია
შემცვლელი კვირტებისაგან, რისთვისაც გასხვლის დროს უნ-
და გავზარდოთ საკავებლებისა და ნეკების რაოდენობა.
ყლორტების ვანვითარების შემდეგ ფურქნის დროს, უმო-
სავლო ყლორტების შეცლით უნდა მოვაწესრიგოთ ვაზის
დატვირთვა.

3. თუ შემცვლელი კვირტები მთლიანადაა დაზიანებული
და ერთწლიანი რქაც გამხმარია, მიმდინარე წლის მოსავალი
იყარგება. ვაზის მრავალწლიან ნაწილებზე არსებული მძინა-
რა კვირტებიდან ვითარდება ყლორტები, რომლებიც ძირი-
თადად უმოსავლო.

ასეთ შემთხვევაში ვაზს უნდა მოვაცილოთ გამხმარი რქები.
შტამპი კი დავტოვოთ, მძინარა კვირტებიდან განვითარ-
დება ამონაყრები, რომლებიც ჭაბლოებით მისის თვეში გა-
დაიკრება შტამპის სიმაღლეზე. ზედა კვირტებიდან განვითა-

რებულმა ნამხერევებმა შეიძლება იმავე წელს მოგვცეკ ჩინ-
რე მოსავალი. მომავალი წლისათვის კი უზრუნველყოფილი
ვიქნებით საფორმე ელემენტებით.

გვიპარებული

ნიადაგში სავადასხვა ელემენტების ნაკლებობით ან სიჭარბით გამოწვეული დაზიანებანი

ვაჟი კარგად ეგუება სხვადასხვა ნიადაგურ პირობებს და
სხვა კულტურებთან შედარებთ ნაკლებ მომთხოვნია საკვებ
ნივთიერებათა მიმართ. ვაზის ფესვთა სისტემა აღწევს ნიადა-
გის ქვედა ფენებში და აღრე გაზაფხულიდან გვიან შემოდ-
გომამდე აქტიურად ფუნქციონირებს. ნიადაგში რომელიმე
ელემენტის სიჭარბემ ან ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს
ვაზის სხვადასხვაგვარი დაზიანება, კერძოდ ქლოროზი.

ქლოროზი ეწოდება მცენარეთა დაავადებას, რომელიც
ხასიათდება ფოთლების და ცალკეული ორგანოების სრული
ან ნაწილობრივი გაყვითლებით. მცენარე გამოხატული ქლო-
როზის პირობებში კი მცენარე სრულიად კარგავს მწვანე
ფერს, რაც ქლოროფილის უკმარისობით აიხსნება. ქლორო-
ზით დაავადებული ვაზის ფოთლების გაყვითლება ძარღვითშო-
რისებში იწყება, ფოთლები პატარაა, ივნისის შუა რიცხვე-
ბიდან მათი კიდეები ხმება. ზევით აიწევა და ჯამის ფორმას
იღებს. დაავადებული მცენარე ზრდაში ჩამორჩება. მას ანა-
სიათებს მოკლე მუხლთშორისები, ყველა მუხლიდან ვითარ-
დება მძინარა კვირტები, ყვითელი პატარა ფოთლებით და
ნამხრევებით. ნამხრევების უხვად განვითარების გამო ვაზი
ცოცხს წაგვავს. ასეთი ვაზი მოსავალს არ იძლევა ან ივითა-
რებს წვერილმარცვლოვან მტევანს. ამიტომ ქლოროზით და-
ავადებული ვაზის მოსავალი ძლიერ მცირდება. ყლორტები
ავისტოდან ხმება, რქებიც ველარ ვითარდება და თანდათან
ხმება. ძლიერ დაავადებული ვაზი კნინდება და რამდენიმე
წელიწადში იღუპება. დაავადება კრიცელება ზოლურად, კე-
რობრივად, თუმცა გვხვდება ერთეული დაავადებული ვაზე-
ბიც. არჩევენ ორი სახის ქლოროზს — ფუნქციონალურს ანუ
ედაფურს და კირუსოვანს. ეს ორი დაავადება შეიძლება შეგ-
ვხვდეს როგორც ერთსა და იმავე ნაკვეთზე, ისე ცალ-ცალ-
კი — სხვადასხვა ნაკვეთზე.

ფუნქციონალური ქლოროზი არაპარაზიტული დაავადებაა.

გამოწვეულია ნიადაგის ფიზიკური და მექანიკური ჰეისინგ-ბით, მასში კალციუმის სიჭარბით ან რკინის ნაკლებობით, საკვები ელემენტების თანაფარდობის დარღვევით, რაც უძველეს ქლოროზი უფრო მეტად ტუტე რეაქციის მქონე ჩასუმების ურცელდება.

ქლოროზის განვითარების დანაშივის შესწავლის შედევრი დაღვენილია, რომ მის გავრცელებას ახასიათებს პერიოდულობა — როგორც ცალკეულ წლებში, ისე წლის სხვადასხვა პერიოდში. მისი განვითარება დაფარმირებულია ვაზის ფენოლოგიასთან, კლიმატურ პირობებთან და სხვ. დაავადებულ ვაზზე ქლოროზის ნიშნები (სიყვითლე) მაისის პირველ ნახევარში ჩნდება, შემდევ თანდათანობით მატულობს და ისრიმობის პერიოდში მაქსიმუმს აღწევს. სიმწიფის ფაზაში დაავადებულ მცენარეთა რიცხვი მინიმუმამდე მცირდება. ზოგიერთ წლებში ქლოროზის გაძლიერება ამ ფაზაშიც შეიმჩნევა. ქლოროზის განვითარებაზე გავლენას ახდენს აგრეთვე ტენი, სითბო და აერაციის რეჟიმი. ქლოროზით თითქმის ყველა ვაზის ჯიში ავადდება, მაგრამ მეტ-ნაკლებად.

შემჩნეულია, რომ საკუთარ ძირზე გაშენებული და გადაწვენილი ვაზი ქლოროზით ნაკლებად ავადდება. ქლოროზით ყველა ხნოვანების ვაზი ავადდება, მაგრამ უფრო მეტიც 2 წელზე მეტი ხნისა.

ქლოროზის შესწავლა კრძელდება. დღემდე ჩატარებული ცდების შელეგად კა აღნიშნული დაავადების წინააღმდეგ ჩეკმენდებულია. შემდევი ღონისძიებები:

1. ვენაზის გაშენებამდე საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი ნიადაგის ქიმიური და მექანიკური შემადგენლობა. ტუტე რეაქციის შემთხვევაში უნდა შეირჩეს ქლოროზისადმი გამძლე ჯიშები;

2. უნდა ვანზორციელდეს ქლოროზიანი ვენაზის წამლობა მიკროელემენტებით, სახელდობრ მაგნიუმის, ოუთიის და ბორის 0,1-0,05 პროცენტიანი სსნარის შესხურება უნდა ვაჭაროოთ ვეგატაციის პერიოდში 3-ჯერ: კუავილობამდე, დაყვავილებისთანავე და ისრიმობის პერიოდში; მიკროელემენტების ბორდოს, სითხესთან კომბინირების შემთხვევაში მთელი კონცენტრაცია შეიძლება 2-ჯერ, ვაიზარდოს ბორი აიღება

ბორის მედვას ან ბორაკის სახით, მანგანუმი — შანგანუმი/სულფატის, ხოლო თუთია — თუთის სულფატის სახით;

3. ქლოროზის გავრცელების კერებში მინერალური ფასურა ქების შეტანა სათანადო ეფექტს არ იძლევა;

4. ქლოროზით დაავადებული ვაზის სამკურნალოდ შედეგიანია ორგანულ-მინერალური ანტიქლოროზული პრეპარატი — ხელატი: 1 ლიტრ პრეპარატს აზავებენ 30-40 ლიტრ წყალში და წამლობას ტარებენ ვაზის ვეგეტაციის პერიოდში 3-4-ჯერ. პირველი წამლობა ტარდება ყვავილობამდე, მეორე — დაყვავილების შემდეგ, მესამე-მეორე წამლობა კი 7-8 დღის ინტერვალით. მკურნალობის შემდეგ მცენარეს სიმწვანე უბრუნდება, წვრილი მარცვლები კი მსხვილდება;

5. ეფექტიანია აგრეთვე 30-პროცენტიანი რეინის ძალის და 5-პროცენტიანი ლიმონმედვას ნაზავის გამოყენება. მშრალ და ცივ ამინდში ქლოროზით დაავადებული ვაზის რქას წაეჭრება წვეროები და გადანაჭერშე ფუნქცით წაესმება აღნიშნული ნაზავი. წასმის დროს ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ კვირტი ნაზავით არ დავაზიანოთ. ახალგაზრდა მცენარეებისათვის რეკომენდებულია 20-პროცენტიანი ნაზავი.

გარდა ამისა, ადრე გაზაფხულშე შეიძლება გამოვიყენოთ აგრეთვე 0,7-პროცენტიანი რეინის ძალის ხსნარი. კერძოდ: ნორჩ ფოთლებზე დაავადების გამოჩენისთანავე ხსნარს შევასხურებთ 2-4-ჯერ, 3-5 დღის ინტერვალით, გვიან საღამოს ან ადრე დილით, რათა სითხე სწრაფად არ აორთქლდეს, ხსნარის შესხურება არ შეიძლება ვაზის ყვავილობის პერიოდში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მონაცემებით. ქლოროზის წინააღმდეგ კარგ შედეგს იძლევა ვენახში იონჯისა და სხვა პარკოსანი მცენარეების შეთესვა. ისინი ხელს უწყობენ ნიადაგში მცენარისათვის საჭირო მიკროფლორის განვითარებას და ვაზის მინერალური კების გაუმჯობესებას. ქლოროზიანი ვაზი ძლიერ არ უნდა დაიტვირთოს, რათა მცენარემ შეძლოს განვითარებული კვირტების ნორმალურად გამოკვება.

ზემოთ ხსნებული ქიმიური შენაერთებით ქლოროზის წინააღმდეგ ბრძოლა გაძნელებულია და დროის დიდ მონაკვეთთან და დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომ

დღეისათვის ქლოროზის წინააღმდეგ პრილის ბუკინის
საშუალებად ითვლება ვენახის გაშენება ქლოროზის უძრავი
ძლე საძირეებზე დამყნილი აბორიგენული ვაზის ჭრულის

მებაღეობის, მევენაბეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-
კლევითი ინსტიტუტის და ოლავის საცდელი სადგურის
მრავალწლიანი ცდების შედეგების მიხედვით ქლოროზისად-
მი საუკეთესო გამძლეობა გამოამჟღავნა შემდეგმა საძირეება:
ბერლანდიერი X რიპარია 420 ა, შასლა ბერლანდიერი 41 ბ,
ბერლანდიერი X რიპარია 5 ბბ.

პრაქტიკაში შევხვდებით აგრეთვე ისერტ დავადებებს, რომ-
ლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს ზოგიერთი ელემენტის
ნაკლებობით ან სიკარბით. ჩვენი პირობებისათვის ცნობილია
ასეთი 6 ელემენტი: აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, კალციუმი,
თუთია და ბორი.

აზოტი აუცილებელი და ერთ-ერთი მთავარი საუკები
ელემენტია ვაზისათვის. აზოტის ნაკლებობის დროს ვაზის
ყლორტები სუსტდება, მუხლოშორისები მოკლდება. ფოთლის
ფართი მცირდება, ფოთლები ჯერ მკრთალ მომწვანო ფერს
იღებს, შემდეგ თანდათან ყვითლდება და ნაადრევად ცვივა.
სიყვითლე ყველაზე აღრე და უფრო ძლიერად შეიმჩნევა
რქის ფუძის ზონის ფოთლებზე — განვითარების პირველ
ფაზაშივე. სუსტ ზრდასთან ერთად მსხმოიარობა მცირდება,
თვალსაჩინოდ ეცემა ყურძნისა და ღვინის ხარისხი.

ფოსფორი. ვაზის ყველა ორგანოში მონაწილეობს.
განსაკუთრებით, მოზარდი ნაწილების უქრედებში და სანა-
ყოფეში. ფოსფორის სიმცირისას სუსტდება ვაზის საერთო
განვითარება; ფოთლები ყავისფერი ხდება, წარმოიქმნება
წითელი ლაქები, ნაპირები იგრიხება, ფერხდება ყვავილობა,
მცირდება ნაყოფიანობა, ეცემა მსხმოიარობა და მიღებული
პროდუქციის ხარისხი.

კალიუმი. ისეთივე აუცილებელი და საჭიროა ვაზი-
სათვის, როგორც აზოტი და ფოსფორი, კალიუმის ნაკლებო-
ბის დროს ვაზი მოკლე მუხლოშორისებით ხასიათდება, ივი-
თარებს მრავალ წვრილ ნამხრეებს, ფოთლის/ წვეროები
ლაქებად პრინჯაოს ფერს იღებს. კალიუმის ნაკლებობით
უმთავრესად ძველი ფოთლები ზიანდება, ძირითადად ვეგ-
ტაციის პერიოდში. ვაზი კარგავს სოკოვანი დავადების მი-

შართ ვამძღვეობის უნარს, მნიშვნელოვნად ეცემა შეიძინა
ვაგამძღვეობა, რის ვაძოც ადვილად ზიანდება მისი არა მარ-
ტო მიწისზედა ნაშილები, არმედ ფესვებიც. გვიპარებული

საკვები ელემენტების როგორც ნაკლებობა, ისე სიკარბე
უარყოფითად მოქმედებს ვაზის ნორმალურ ზრდა-განვითარე-
ბაზე, მოსავლის რაოდენობაზე და ხარისხზე. მა მხრივ ვან-
საუთრებული უურადება უნდა მიექცეს აზოტს, რაღაც მი-
სი სიკარბის პირობებში ვაზი ძლიერ იზრდება, მუხლითშო-
რისი მანძილები გრძელდება, ლერო ძლიერ მსხვილდება, ფოთ-
ლები დიდი ზომისაა, სქელია და მუქ მწვანე შეფერილობას
იღებს, ნაყოფი ნაკლებად ვითარდება, ყურძენი გვიან მწიფ-
დება და დაბალხარისხიანია. ასეთი ვაზი აღვილად ავალდება.
ერთწლიანი ნაზარდი მომწიფებას ვერ ასწრებს და დაბალი
ყინვა-გამძღვეობით ხასიათდება.

აზოტოვანი, კალიუმიანი და ფოსფორიანი სასუქების ყო-
ვალწლიურად ავრორექნიკური ნორმებით შეტანის შედეგად
მჭიდრებულება ვაზის ზრდა-განვითარება, ვღებულობთ სტაბი-
ლურ, მაღალ მოსავალს და ხარისხიან პროდუქციას.

მაგნიუმი. ქლოროფილის შემადგენლობაში შედის და
ვაზის ზრდა-პროდუქტიულობისათვის დიდი მნიშვნელობა
აქვს. იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს ვაზის სასიცოცხლო
პროცესებში. მაგნიუმი ადიდებს მოსავლიანობას და აუმჯო-
ბესებს ნაყოფის შემოსვლა-მწიფობის ხარისხს.

მაგნიუმის უკმარისობა იწვევს ქლოროზის დამახსიათე-
ბელ ნიშნებს. ფოთოლზე ჩნდება მოყავისფრო ლაქები. დაზი-
ნებული ფოთლის მთავარი ძარღვები ინარჩუნებს თავის შე-
ფერვას, ძარღვთაშორისები კი მკრთალი ყვითელი შეფერ-
ვისაა. მაგნიუმის უკმარისობა მეტწილად იღნიშნება ქვიშნარ
ნიაღაგებზე გაშენებულ ახალგაზრდა ვაზს. შემდგომში კი,
ფესვთა სისტემის ლრმა ფენებში გავრცელების შედეგად
ასეთ ვაზს მაგნიუმის უკმარისობის ნიშნები უქრება.

რეინას ვაზის სასიცოცხლო პროცესებისათვის დიდი
მნიშვნელობა აქვს, იგი საჭირო ქლოროფილის სინთეზისათ-
ვის. მცენარის ქლოროფილში არსებული რეინა ბშირად გან-
საზღვრავს ამ ელემენტის გავლენას ქლოროფილის სინთეზს.

რეინა ნიაღაში საკმაო რაოდენობითაა. მაგრამ მიუხე-

2. ა. ნაცვლიშვილი, ი. ბერდელი, ე. პატარებიშვილ ეროვნული
ბიბლიოტეკისა

დავად ამისა, ზოგჯერ მცენარეში რკინის ნაკლებობა შეიძლება, რაც გამოწვეულია ნიადაგში შესათვისებელი ქართველი სიმცირით. ქლოროზული მოვლენა გამოწვეულია არა სატრო თოდ ნიადაგში რკინის ნაკლებობით, არამედ ვაზისათვის მისაწვდომი რკინის შიმშილით.

ბორი ეკუთვნის მიკროელემენტთა ჯგუფს და ძირითად როლს ახრულებს აუქსინის ბიოსინთეზში. იგი ერთ-ერთი აუცილებელი მიკროელემენტია მცენარის ნორმალურად დაყვავილებისათვის.

ბორის უქმარისობის ნიშნები ძირითადი ყლორტების ზედა ფოთლებზე შეიმჩნევა. ამ დროს ახალგაზრდა ფოთლები გაფერმკრთალებულია, ხნიერ ფოთლებზე კი ჩნდება წითელი ან ყვითელი ლაქები. ზოგჯერ ფოთლები დეფორმირდება, ძირითადი ყლორტის წვეროები იწყებს კვდომას და დიდი რაოდენობით ვითარდება ნამხრევებში. მის ზედა ნაწილში ვითარდება ანომალიური მოკლე მუხლთშორისები, თანაყვავილიც ცუდად ვითარდება, გამონასკული მარცვლები ძლიერ ცვენას იწყებს შეა ზაფხულში. დარჩენილი მარცვალი ნაკლებ იზრდება სიგრძეზე, რის გამოც მრგვალ ან ბრტყელ ფორმას ღებულობს; მაგრამ ყველა ეს ნიშანი შეიძლება ერთ-დროულად არ გამოვლინდეს.

ბორის ნაკლებობის შევსება ადვილია, მაგრამ მაღალი დოზების გამოყენება არ შეიძლება. მისი ნიადაგში შეტანისათვის საჭიროა 8-10 კგ სუფთა ნივთიერება ჰექტარზე. გამოიყენება აგრეთვე მისი ფესვების გამოკვება მცენარეზე 0,1-პროცენტიანი ხსნარის შესხურებით.

თუთა წარმოადგენს მცენარისათვის ერთ-ერთ საკვებ მიკროელემენტს. თუთიის ნაკლებობა იწვევს აუქსინების უკმარისობას, რასაც მოსდევს ყლორტების სუსტი ზრდა, თხელმტევნიანობა და წვეროლმარცვლიანობა, ვითარდება პატარა ზომის ფოთლები. თუთიის ნაკლებობა ვლინდება ზაფხულის დასაწყისში. ქერ ზიანდება ძირითადი ყლორტისა და ნამხრის ზედა ნაწილი, შემდეგ კი ფოთლებზე ჩნდება ქლოროტული ლაქები.

შერბიციდება. საღლეისოდ ვენახებში სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსში ჰერბიციდების გამოყენება ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. მრავალი

ვალი პერბიციდი მცენარეზე ფესვიდან მოქმედებს (რის გვ
მოც, ისინი ნიადაგში შეაქვთ) და ფესვზე მოქმედი ასე
ნიადაგური პერბიციდები ეწოდებათ; პერბიციდების განვითარება
ჯუფი მცენარეზე ფოთლიდან მოქმედებს და მათ, შესაბა-
მისად, ვაგორატიურ ნაწილებზე მოქმედი ეწოდებათ. ასეთ
პერბიციდებს სარეველების აღმოცენების შემდეგ იყენებენ.
ამ ჯუფში შედის როგორც კონტაქტური, ისე სისტემური
მოქმედების პერბიციდები.

ვენაბში ერთწლიანი მარცვლოვანი და ორლებნიანი სა-
რეველების წინააღმდეგ გამოიყენება ნიადაგის ფესვიდან მოქ-
მედი შემდეგი პერბიციდები: სიმაზინი, ატრაზინი, კარა-
გარდი, მონურონი, დიურონი და სხვა. ხოლო მათ ფონზე,
შრავალწლიანი სარეველების წინააღმდეგ — დალაპონი, რა-
უნდაპი, ნიტოსორგი, ფოსულენი, უტალი და სხვა; ვაზი
ძლიერ მგრძნობიარება პერბიციდების მიმართ. ამიტომ პერბი-
ციდების საჭიროების შემთხვევაში შკაცრალ უნდა იქნეს და-
ცული მათი გამოყენების წესები, დოზები. შეტანის პერიო-
დები — ვაზის ასაკის და ნიადაგურ-კლიმატური პირობების
შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მცირე კონცენ-
ტრაციასაც კი შეუძლია ვაზის ნორმალური ზრდა-განვითა-
რების დარღვევა. პერბიციდებით დაზიანებული ვაზის ფო-
თოლი მარაოს ფორმას იღებს, ფოთლის მთავარი ძალვები
თითქმის პარალელურად არის განწყობილი და ნიახურის ფო-
თოლს ემსგავსება. ძალვეთაშორისი გაყვითლებული ან აჭრე-
ლებულია, ძლიერი დაზიანების შემთხვევაში ფოთლებსა და
ყლორტებზე ჩნდება ნეკროზული ლაქები, ფოთლის კიდე-
ები ხმება და ზემოთ აღიმართება, ფოთოლი ჭამის ფორმას
იღებს, მოსავალი მცირდება და ხარისხი უარესდება. მეორე-
მესამე შელსაც კლინდება პერბიციდის უარყოფითი მოქმე-
დება ფოთლის დეფორმაციის სახით. პერბიციდებით ვანსა-
კუტრებით წვეროს ახალგაზრდა ფოთლები ზიანდება. ასეთი
დაზიანება ვაზის ვირუსოვან ღაავადებებს წააგავს. ვაზის და-
ზიანება ხშირად ისეთ ნაკვეთებშიც აღინიშნება, სადაც პერ-
ბიციდები არ ყოფილა გამოყენებული. ეს შეიძლება გამო-
იწვიოს სხვადასხვა პერბიციდების არაწესიერად. შენახვაშ
შეამქიმიკატებთან და სასუქებთან ახლოს, პერბიციდებისათ-
ვის ვანკუტვნილი ტარისა და პარატურის „გამოურება“დ

გამოყენებამ ვაზის სხვა წამლობებისათვის, აგრეთვე პინაკი
მოსაზღვრე ნაკვეთების ჰერბიციდებით დამუშავებამ თვით-
მფრინავიდან და სხვ.

ჰერბიციდების არაწესიერად გამოყენებამ შეიძლება ვებ-
ხის გახმობაც გამოიწვიოს. ოსანიშნავია ისიც, რომ ასეთ
ნაკვეთზე ვაზის ამონირკვის შემდეგაც ჰერბიციდების გავ-
ლენით ნიადაგი იძღვნად ტოქსიკური რჩება, რომ რამდენიმე
წელიწადს მასზე ერთწლიანი კულტურებიც კი ვერ ხარობს.

დიდი სიფრთხილეა საჭირო ვენახში ვეგეტაციურ ნაწი-
ლებზე მოქმედი ჰერბიციდების შეტანის დროს, რათა მისი
შხეფები არ მოხვდეს ვაზს. შხეფები აზიანებს ვაზის მწვანე
ნაწილებსაც. ამიტომ ვეგეტაციურ ნაწილებზე მოქმედი ჰერ-
ბიციდების შეტანამდე აუცილებელია ვაზს მოსცალდეს ფეს-
ვიდან მწვანე ამონაყარი, შესხურების პროცესში კი შესასხუ-
რებელ აპარატს გაუკეთდეს დამცველი ფარები. აუცილებე-
ლია, რომ:

1. ყველა სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია ჰერბიცი-
დების შეტანასთან, ჩატარდეს ამ საქმის მცოდნე სპეცია-
ლისტთა ზედამხედველობით;

2. ჰერბიციდები ინახებოდეს სპეციალურ საწყობებში;

3. ჰერბიციდები ნაკვეთზე განაწილდეს თანაბრად, სამუ-
შაო ხსნარი იმავე დღეს გაიხარჯოს, შესხურების დამთავრები-
სას კი აპარატი გაირეცხოს კალცინირებული სოლით;

4. საჭიროა ჰერბიციდებით დაზიანებული ნაკვეთის ხში-
რი ჩეჭვა, მისი ნატრიუმის ამონიუმის მარილით დამუშავება,
სასუქების შეტანა და ყველა იმ ლონისძიებათა გატარება,
რაც ზელს შეუწყობს ვაზის ძლიერ ზრდას.

შეხდაცემული ვაზი. ზოგ შემთხვევაში ვენახს მე-
ხიც აზიანებს. დაზიანება შესამჩნევი ხდება ჰექ-
ქუხილის შემდეგ. ვენახის მცირე ფართობზე ვაზი უეცრად
კენება, უფრო ხშირად მეხის დარტყმის შემდეგ ვენახში
ჩნდება მკვდარი უბნები, შპალერზე მწკრივების გასწვრივ
მავთულის მიმართულებით. მავთულის ზევით ყველა ყლორტი,
რომელიც მავთულს ეხებოდა, კენება და კვდება. ყლორტის
მუხლთშორისები რუხ ფერს დებულობს, მუხლები კი მწვანე
რჩება. დაზიანებულ ნაწილში კამბიუმის დაზიანება თუ ძლი-
ერი არ არის, მაშინ ვაზის ან ყლორტის ნაწილი ზრდას გა-

ნაგრძობს. შტამპი ან ცალკეული რქა თუ დაზიანებულია
ირგვლივ, რამდენიმე ხანს კიდევ ინარჩუნებს საყვარეს და
უნარს, შემდეგ კი კვდება. მაშასადამე, ვაზის აღფუძნის შეზეა
საძლებლობა დამოკიდებულია მეხით დაზიანების ხარისხზე.
სუსტად დაზიანებისას ვაზი მოკლე დროში გამოსწორდება,
ძლიერი დაზიანების შემთხვევაში კი მავთულთან შეხების
ზედა ნაწილები მოსცილდება.

ხეტუვისაგან დაზიანება. სასოფლო-სამეურნეო კულტუ-
რების დაზიანებისა და მოსავლიანობის შემცირების ერთ-ერთი
მიზეზია სეტყვა. იგი რამდენიმე წუთის განმავლობაში სპობს
მთელი წლის ნაამაგარს. მისი მავნე მოქმედება მრავალწლიან
კულტურებზე, კერძოდ ვაზზე, ერთი წლით არ განისაზღვრე-
ბა. ის ანადგურებს მომავალი წლისათვის ფორმის მისაცემ
ყლორტებს, ასუსტებს ვაზს და წლების განმველობაში ამცი-
რებს მოსავლიანობას.

სეტყვა ცველგან ერთნაირად არ მოდის და ერთი სიძლი-
ერით არ აზიანებს მცენარეს. მისი ინტენსივობა დამოკიდებუ-
ლია სეტყვის მარცვლის სიმსხოზე, რომელიც გარის სიძ-
ლიერებზე, მოქმედების ხანგრძლივობაზე და ა. შ. სეტყვის
მოქმედება ჩშირ შემთხვევაში დიდ ტერიტორიაზე როდი
კულტები, უმთავრესად ზოლებად აზიანებს ნარგილის. მი-
სი მოქმედება ღიმოკიდებულია აგრეთვე მცენარის სავეგეტა-
ციონ პერიოდზე; ცვავილობის დროს დასეტყვის შემთხვევაში
ვაზი ჩელახლა ამოიყრის ყლორტებს (სათაღარივო) კვირტები-
დან, რის შედეგად შესძლებელია მივიღოთ მცირე მოსავალი.
ყლორტები შემოღვომაზე საქმაოდ მსხვილდება და ასწრებს
მომწიფებას. გვიან დასეტყვის შემთხვევაში მოსავალი მთლი-
ანად იღუპება და მასთან ერთად ნაწილობრივ ან მთლიანად
ზიანდება მომავალი წლისათვის საჭირო საფორმე ელემენ-
ტები.

სეტყვის საწინააღმდეგო ლონისძიებები სადღეისოდ ჯერ
კიდევ არ არის სრულყოფილი, ამიტომ უნდა გამოვიყენოთ
სეტყვისაგან დაზიანებული ვაზის გამოსწორების აგროტექნი-
კური ლონისძიებები.

სეტყვისაგან ვაზის ნაკლებად დაზიანების შემთხვევაში
გასხვლა ვეგეტაციის არც ერთ პერიოდში არ არის მიზან-

შეწონილი, შეიძლება მხოლოდ მოტეხილი ყლორტების მო-
ცილება და 2-პროცენტიანი ბორდოს ხსნარით გამჭვიშვილი

ძლიერი დასეტყვის შემთხვევაში საჭიროა გასწვლა. გა-
უსხლავად დატოვებული ვაზი იკითარებს მრავალ ნამხარა
და ამონაყარს, რომლებიც ვეგეტაციის ბოლოსათვის მთელ
სივრცეში ვერ ასწრებენ მომწიფებას და საფორმე ელემენტე-
ბად ნაკლებად არიან გამოსადევი. ამ შემთხვევაში განსა-
კუთრებული ყურადღება უქცევა მწვანე ოპერაციების დრო-
ულად ჩატარებას; თითოეულ ვაზს უნდა შეკუნარჩუნოთ
ყლორტების გარევეული რაოდენობა.

აგროდონისძიებათა არახწორი ჩატარებით გამოწვეული
დაზიანება. ვაზის სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია
საძირისა და სანამყენის ბიოლოგიურ თვისებებზე, ნიადაგურ
და გარემო-ეკოლოგიურ პირობებზე და გამოყენებულ აგრო-
ლონისძიებებზე. ვაზის სიბერეს თან სდევს ზრდისა და მო-
სავლიანობის მნიშვნელოვანი შემცირება, არახელსაყრელი
პირობებისადმი (ყინვა, გვალვა და მისთ.) ნაკლებად გამძლე-
ობა და სხვა. ვაზი მსხმიარობას წყვეტს და წყობილებიდან
გამოდის მთელი რიგი მიზეზებით. მათ შორის მთავარ როლს
ასრულებს, გასხვლის დროს მიყენებული ჭრილობები. ისი-
ნი აზიანებენ არა მარტო შერქნისა და ფესვის გამრარ ქო-
ვილებს, აგრეთვე ხელს უწყობენ მავნებლებისა და სოკო-
ვანი დაავალებების შეკრის მერქანში. ამიტომ, ჭრილობა უნ-
და იყოს რაც შეიძლება პატარა, განსაკუთრებით შტამპზე
და მრავალწლიან ნაწილებზე. ამასთან ერთად დაცული უნდა
იქნეს გასხვლის დროს მიყენებული ჭრილობების ცალმხრი-
ვობა, ჭრილობა უნდა იყოს სუფთა და გლუვი. მუდმივი
მხრის მოცილების დროს უმჯობესია დავუტოვოთ მისი მცი-
რე ნაწილი. მრავალწლიანი ნაწილების ბაზისთან ძლიერ ახ-
ლოს მოჭრის შემთხვევაში, ჭრილობის აღვილზე წარმოიშო-
ბა დამცობი ნივთიერებანი, ხდება გამტარი ჭურჭელ-ბოჭ-
კოვანი კონების დაცვა და ქსოვილი იწყებს ხმობას. ხმობა
თანდათანობით იჭრება შტამპის სილრმეში და შტამპი ფუ-
ტუროვდება, ირლვევა ვაზის ფესვთა სისტემისა და მიწის-
ზედა ნაწილების ურთიერთყავშირი, ვაზი თანდათან სუსტ-
დება და ძირითადი ყლორტების ზრდა მთლიანად ჩერდება.
მცენარეში არსებული პოტენციური ენერგიის წყალობით

ვაზი იძულებით იქითარებს მრავალ ამონაყარს. ხშირად ვენახე ამ ამონაყარს მთლიანად აცლის იმ მოტივით, რომ წევნებითა მოძრაობა ძირითადი ყლორტებისაკენ წარიმატებლის დაზღვეს ამონაყრებით ვაზი არ დასუსტდეს. შაგრამ ჩადგანაც გამტარი კონები დაცობილია და წვენთა მოძრაობა ძირითადი ყლორტებისაკენ შეჩერებულია, ამონაყრების შეცლით მთლიანად წყდება წვენთა მოძრაობა და ვაზი ნაადრევად კვდება.

არაწესიერად გასხვლის შედეგად დასუსტებული ვაზის გამოსწორება და გაახალგაზრდავება უნდა მოხდეს ამონაყარი ყლორტების გამოყენებით, მათი აღზრდით.

ვაზის სიბერე. ვაზს, როგორც ყველა სხვა მცენარეს, სამი პერიოდი აქვს:

1. ენერგიული ზრდა-განვითარებისა; 2. შენელებული ზრდა-განვითარებისა, ოღონდ მაღალი, მყარი მოსავლიანობით და 3. ზრდა-განვითარების თანდათანობით შემცირებისა და მოსავლიანობის დაცემის პერიოდი.

ვაზის სრულმოსავლიანობის პერიოდი საშუალოდ 35-40 წელიწედს გრძელდება. ვაზის სიბერეს თან სდევს ზრდა-განვითარების შესუსტება და მოსავლიანობის ყოველწლიური კლება. ვაზის ნაადრევად დაბერება დამოკიდებულია ვაზის ჯიშებზე, ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე, პლანტაციის სიღრმეზე და დამუშავების ხარისხზე, ვენახის გაშენების წესზე და საერთოდ მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსზე.

საზოგადოებრივ მეურნეობებში ვენახის გარკვეული ფართობი ყოველწლიურად ხნიერი ვენახის კატეგორიაში გადადის და მოსავლიანობა ამ ნაკვეთებში მკვეთრად მცირდება. ამიტომ საჭიროა პერიოდულად ჩავატაროთ ვაზის გამახალგაზრდავებელი ღონისძიებები.

ცნობილია ვაზის გაახალგაზრდავების ორი წესი: მთლიანი და ნაწილობრივი. მთლიანი გაახალგაზრდავებისათვის უნდა გამოვიყენოთ ძირითადი ამონაყარი, თუ ამონაყარი არა აქვს, იგი ხელოვნურად უნდა გამოვიწვიოთ გალიზიანებით (დაკაწურა, ჩხვლეტა და სხვ.). ანდა ვაზი გადაიჭრას ნიადაგის ზედაპირზე, ნამყნობი ადგილის ზევით. ამ შემთხვევაში მცენარე ძირიდან მრავალ ამონაყარს განივითარებს, რომელთაგანაც ვტოვებთ მხოლოდ 1-2 ძლიერ ყლორტს, დანარჩენს ძირში-

ეს შეცვლით. ძირითადი ამონაყარი ყლორტი შტამპად აღზარდოთ, ამიტომ ყველა ლონისძიება უნდა გავატოთ, რომ შტამპი ძლიერად განვითარდეს. იგი უნდა დაქარგვით შემთხვევაში გელ მავთულზე და ნამხრეები ძირშივე შეკრალოს მისგან განვითარების დასაწყისშივე. ამონაყარ ყლორტს აუცილებლად ინდივიდუალური საყრდენი უნდა შეეღგას და ზედ იეპრას, რათა სწორი შტამპი აღზარდოთ და ამით ხელი შევუწყოთ ნიადაგის მექანიკურ დამუშავებას.

გაახალგაზრდავების ეს წესი უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც ვაზი ძლიერ მობერებულია, შტამპი დამახინჯებულია, არაწესიერი სხვლის შედეგად მრავალი ჭრილობები აქვს მაყრებული და წვენთა მოძრაობა შეფერხებულია, რის გამოც დარღვეულია ფესვთა სისტემისა და მიწისზედა ნაწილების ურთიერთყავშირი. აღნიშნული წესი უნდა გამოვიყენოთ აგრძელვე შტამპის ძლიერი ამაღლების შემთხვევაში. ვაზის ნაწილობრივ გაახალგაზრდავებაში იგულისხმება შტამპზე ძველი, მრავალწლიანი ნაწილების შეცვლა ახალი, მუდმივი საფორმე ელემენტებით.

ვაზს ორმხრივი შპალერის ფორმირებისას სასხლავი რგოლების გაახალგაზრდავებისათვის ძირში, მოსახერხებელ ადგილზე უნარჩუნდება განვითარებული ძლიერი რქები. შემდეგი წლის ვაზაფხულზე ისინი უნდა გაისხლას 2-3 კვარტზე. ძველ სასხლავ რგოლს ისევე ვტოვებთ მოსავლისათვის. მესამე წელს კი დატოვებულ შემცვლელ ნეკზე განვითარებული რქები ისხვლება სამამულედ და სანაყოფელ.

მრავალწლიანი მხრების გაახალგაზრდავებისათვის იყენებენ აღმდგენ ნეკს, რომელიც მიღებულია ვაზის შტამპზე ან მრავალწლიანი მხრის ძირში დატოვებული რქიდან. მეორე წელს ამ განვითარებულ რქას სხლავენ მხრის სიგრძეზე და აქავებენ პირველ მავთულზე, ყლორტების განვითარების შემდეგ. რქაზე ტოვებენ სასხლავი რგოლებისათვის საჭირო რაოდნობის ყლორტებს. მესამე წელს მათ სხლავენ 2-2 კვარტზე სასხლავ რგოლებად და ძველ მხარს აცილებენ.

ვენახში ყველა ვაზი ერთდროულად როდი ბერდება და ამიტომ მათ ერთდროულად არ ესაჭიროებათ გაახალგაზრდავება. ამიტომ ინდივიდუალურად უნდა მივუღეთ ამ ოპერაციის თითოეული ძირის მიმართ. გამორიცხული არ არის,

რომ მთელ ნაკვეთში ერთდროულად ჩავატაროთ გამარცხაზე
დავების პროცესი.

გააჩალგაზრდავების ღონისძიებათა დაწყება განმარტებული—
ბა ვაზის მდგომარეობით: როგორც კი ვაზს, შეეტურის, ჩამოს
მისი აქის ზრდა-განვითარება შესუსტდა და დელ მერქანზე,
ფუძესთან იწყება მრავალი ამონაყრის განვითარება, საჭიროა
დოუკოვნებლივ დავიწყოთ ასეთი ვაზის გააჩალგაზრდავება.

ვაზის გააჩალგაზრდავება მწვანე ოპერაციების ჩატარე-
ბიდან იწყება. ფურჩნის ღროს დიდი ყურადღება უნდა მიექ-
ცეს ამონაყრების შერჩევის; ვაზს დარჩება მწერივის მიმარ-
თულებით განვითარებული 1-2 ძლიერი ამონაყრი. ვაზის
გააჩალგაზრდავებისათვის ჩასატარებელი მწვანე ოპერაციები
კვალითიციურ, გამოცდილ მუშებს უნდა შევასრულებინოთ,
რათ გააჩალგაზრდავებისათვის გამოსადევი ამონაყრები არ
შეაცალონ და ვაზის გამოსწორება-ალდგენის საშუალება მოგ-
ვეცეს. ხნიერ ვაზებზე ამონაყრების განვითარება სიბერის და-
მახასიათებელი ნიშანია. მათი სისტემატური შეცლით ვაზი
იმდენად სუსტდება, რომ ხშირად გალიზიანებითაც კი წყვეტს
ამონაყრების განვითარების უნარს, და ვაზის გააჩალგაზრდა-
ვება ძნელდება ამონაყრი ყლორტების უქონლობის გამო.

რეპოზენდაციაზე

არაპარაზიტულ დაავადებათა მიმართ ვაზის გამძლეობა
დამოკიდებულია მის ზრდა-განვითარებაზე, სიძლიერეზე და
აღზრდის დეროლონისძიებათა სწორად გამოყენებაზე. ძლიერი
ზრდა-განვითარების და არაპარაზიტულ დაზიანებათა ფაქტო-
რების მიმართ მეტი ამტანობის მქონე ვაზის აღსაზრდელად
საჭიროა, გვახსოვდეს, რომ:

1. ვაზის ზრდას, გარემო პირობებისადმი ამტანიანობასა
და მაღალ მოსავლიანობას საფუძველი ეყრება სავენახე ნია-
დაგის შერჩევის, დამუშავებისა და გაშენებისთანავე, სავე-
ნახედ საუკეთესოა ნეშომპალა-კარბონატული, ტყის ყავის-
ფერი, ალუვიურ-კარბონატული, შავმიწა და ყომრალი ნია-
დაგები. სავენახე ნიადაგები უნდა აქმაყოფილებდეს შემდეგ
მოთხოვნებს: ხასიათდებოდეს ლრმა ფენებით, წყლის, სით-
ბოსა და აერაციის კარგი რეემით, საკვები ნივთიერებით მდი-
დარი, სტრუქტურული, ზირხატიანი, კარბონატული მსუბუქი

ან საშუალო მექანიკური შემადგენლობით. ვარდა ამისა, ნაკვეთის შერჩევის დროს ყურადღება უნდა მიეჭიეს ისეთ ასეთ გილებს, რომლებიც ადვილად ასათვისებელია და საჭარბელია და გამჭვივებულია გვიცის მოვლა-დამუშავება შესაძლებელია იქნება მექანიზაციის ფართო გამოყენებით: სავენახე ნიადაგის შერჩევისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს რელიეფის თავისებურებები, მისი ექსპოზიცია, მექანიზაციის გამოყენების შესაძლებლობა, გრუნტის წყლის სიახლოვე ნიადაგის ზედაპირთან, მავნებლების გავრცელებულობა და ა. შ.

2. სავენახე ნიადაგის დამუშავება უნდა მოხდეს გაშენებამდე 4 თვით ადრე 60-70 სმ სიღრმეზე (ნიადაგის ზედაფენების სიღრმის გათვალისწინებით). გაშენების ყველაზე უკეთესი წესია ორმოში დარგვა. ორმოში დარგული ვაზი უფრო ძლიერ ვითარდება, რაც ვაზის გარემოპირობებისადმი გამძლეობის ერთ-ერთი წინაპირობაა. ვენახის გასაშენებლად გამოიყენება აგრეთვე ჰიდრობურლები, რითაც მცირდება მუშაბელის რაოდენობა და სახსრები.

3. ვაზის გაშენების პირველი დღიდანვე აგროტექნიკით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა ჩატარდეს დროულად და მაღალხარისხიანად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიეჭიეს ახალშენი ვენახის მოვლას.

ახალშენ ვენახში ერთ-ერთი პასუხსავები ღონისძიებაა ვაზის მწვანე ნაწილთა ოპერაციების ჩატარება. ამისათვის აუცილებელია გაშენების წელსვე შპალერის მოწყობა, ყოველი ვაზისათვის ინდივიდუალური საყრდენის შედგმა და ყლორტების დანორმება. ვაზის ერთშტამბიანი ფორმების შექმნის მიზნით საჭიროა გაშენების პირველ წელსვე ვაზზე ერთი ყლორტის დატოვება და მისი აღზრდა საყრდენზე, ვერტიკალურად, ამასთან ერთად, აუცილებელია, ვეგეტაციის განმავლობაში ვაზს ნამხარი შეეცალოს მისი განვითარების დასაწყისშივე, რის შედეგადაც მიიღება ჭრილობისაგან დაუზიანებელი შტამბი.

4. უკანასკნელ წლებში ფართოდ ინერგება ვენახის გაშენებისა და მოვლის ახალი ტექნოლოგია. იგი ითვალისწინებს ვაზის გაშენებას გადიდებული კვების არეზე, აგრეთვე მაღალშტამბიანი კორდონისა და ფორმების გამოყვანას, ყლორტების თავისუფალ აღზრდას. ახალი ტექნოლოგიით გაშენება

ბულ ვაზს ექმნება სინათლის, აერაციისა და ჰვების საუკეთესო პირობები, რაც ხელს უწყობს ვაზის ძლიერად, რქის მთელ სიგრძეზე მომწიფებას და გარემო პირობებისას მი მეტ გამძლეობას.

გარდა ამისა, ფართო რიგთაშორისების დამუშავების შემთვევაში, ვენახში შეგვიძლია გამოვიყენოთ უველა სახის ტექნიკა. ფართო რიგებში გავლით აგრეგატი ნაკლებად აზიანებს ვაზს, დაუზიანებელი ვაზი კი უფრო ღონიერი და გამძლე ხდება, ყოველგვარ დაზიანების სწრაფად იშუშებს.

5. ვაზის ზრდა-განვითარებისა და ყურძნის მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ვაზის გასხვლა-ფორმირებას. ვაზის გასხვლა, როგორც უმნიშვნელოვანესი ოპერაცია, უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე ასეული შლების განმავლობაში გამომუშავდა გასხვლა-ფორმირების გარკვეული წესები, რომელთაგანაც მრავალი დღევანდლამდეა შემონახული.

გასხვლით ჩვენ ვარეგულირებთ ვაზის ზრდასა და მოსავლიანობას; გასხვლის დროს ძლიერი დატვირთვა იწვევს იმავე წლის მოსავლის გადიდებას. მაგრამ გადაჭარბებული დატვირთვით ყლორტები სუსტიდ ვითარდება და მცირდება ვაზის არხელსაყრელი პირობებისადმი გამძლეობის უნარი.

მკაცრად გასხვლის შემთხვევაში, თავის შესაძლებლობაზე უფრო ნაკლებად დატვირთვის გამო იზრდება ვაზის საეგვერაციო ძალა. ამ დროს ადგილი აქვს მტევნების ნახევრად პრესლად გადაჭცევას, ძლიერ ყვავილურენას, მოსავლიანობის კოეფიციენტის შემცირებას. ამასთან, რქა ხშირად შემოუსვლელი რჩება და მცირდება ვაზის არახელსაყრელი პირობისადმი გამძლეობის უნარი. ვაზის ზრდასა და მოსავლიანობას საფუძველად უნდა დაედოს გასხვლის დროს ინდივიდუალური მიღომა.

6. ყურძნის უხვი მოსავლიანობის მიღებას და ვაზის ზრდა-განვითარების გაძლიერებას საფუძველი ეყრდნობა რთვლის დამთავრებისთანავე სასუქების შეტანითა და ნიაღავის დამუშავებით.

ვენახში სასუქების გამოყენება, მკაცრ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს, რაღაც საკვები ელემენტების როგორც

ნაკლებობა, ისე სივარბე საზიანოა მცენარისათვის. ბინა-
ლური სასუქები გამოყენებული უნდა იქნეს მუზიკულურული
არსებული კარტოგრამებით. უმჯობესია, კონკრეტულად: ჩირიცის
ბებისათვის სასუქების დოზების დაზუსტება მოხდეს ვაზის
ფოთოლში ძირითადი საკვები ნივთიერებების შემცველობის
მიხედვით. ფოთოლში საკვები ელემენტების ნიკლები შემ-
ცველობისას სასუქების დოზები უნდა გადიდეს, ხოლო
მაღალი შემცველობის შემთხვევაში — შემცირდეს ანდა სულ
არ იქნეს გამოყენებული.

საჭიროების შემთხვევებში ვენახში უნდა ჩატარდეს დამა-
ტებითი გამოკვება, რაც განსაკუთრებით მაშინაა აუცილე-
ბელი, როცა ნარგაობა სტკადასხვა მიზეზების გამო სუსტა-
და განვითარებული. დამატებითი გამოკვება შეიძლება ჩა-
ტარდეს ნიადაგში სასუქების შეტანით (ფესვური გამოკვება),
ან ფოთოლზე ხსნარის შესხურებით (ფესვგარეშე გამოკვე-
ბა). ამ დროს ძირითად სასუქებთან ერთად სასურველია გა-
მოყენებულ იქნეს მიკროელემენტებიც.

ორგანული და მინერალური (ფოსფორიანი და კალიუმია-
ნი) სასუქები შეიტანება საშემოდგომო ხენის წინ, ხოლო
აზოტის შემცველი სასუქები — გაზაფხულზე. სასუქების
შეტანისთანავე საჭიროა ნიადაგის მოხვნა ან კულტივაცია.

აზოტივანი სასუქების გადიდებული დოზების შეტანით
ეცემა პროდუქტის ბარისხი. კვების პროდუქტებში გროვდე-
ბა ნიტრატების დიდი რაოდენობა, რაც საფრთხეს უქმნის
ადამიანის ჯანმრთელობას. მკვეთრად აუარესებს ლეინის ხა-
რისხს. გარდა ამისა, აზოტიანი სასუქების ჭარბი დოზები
ზრდის და აძლიერებს ვაზის ვეგეტაციურ ნაწილებს, რქა
ვერ ასწრებს შემოსვლას, რის გამოც მცირდება არაპარაზი-
ტულ დავადებათა გამომწვევ ფაქტორთა წინააღმდეგ გამდ-
ლეობის უნარი და მოსავლიანობა.

7. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვენახში ნიადაგის მოვლა-
დამუშავებას. მისი მიზანია პლანტაციით შექმნილი *დადებითი
პირობების გახანგრძლივება, ნიადაგის აგროსაწარმოო თვი-
სებების (ტენიანობის, აერაციის, სითბოს ოპტიმალური რე-
ზიმის) შექმნა, სტრუქტურის შენარჩუნება-გაუმჯობესება,
ბიოლოგიური აქტიურობის ამაღლება, სარეველების მოსპო-
ბა, მავნებელ-დაივადებაზე გავრცელების შეზღუდვა, ვაზის

საუკესპლოატაციო პერიოდის გახანგრძლივება და მისი პირ-
დუქტიულობის ამაღლება.

ენენაბში ნიადაგის დამუშავება უნდა ტარდებოდეს საუკეთესო
დაგურ-კლიმატური და რელიეფური პირობების შეზღაშისად;
ვაზის ასაკისა და აღზრდის სისტემის გათვალისწინებით. იგი
მოიცავს შავადხნულის, ჰერბიციდების, ნათესბალაზიანი და
მულჩირების სისტემების შეთანაწყობილ გამოყენებას.

8. პლანტაცი, რომლითაც ენენაბის გაშენებამდე საუკეთესო
პირობები შევუქმნით ვაზს ფესვთა სისტემის გაუმჯობესები-
სათვის, წლების განმავლობაში ჯდება, ტრაქტორებისა და მან-
ქანა-იარაღების ენენაბში შოძრაობით ნიადაგი იტკეპნება და
ამით უარესდება მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებები. ვე-
ნაბში მწყრივთაშორისების ყოველთვის ერთსა და იმავე სილ-
რმეზე ხვინით, სახნავი ფენის ძირი ილესება და იგი ფესვთა
სისტემის ორეში წყალს ნაკლებად ატარებს, უარესდება ნია-
დაგის ფიზიკური თვისებები და სტრუქტურული შემაღენ-
ლობა, იზღუდება მიკრობიოლოგიური პროცესები.

ფესვთა სისტემის ორეში ამ თვისებათა გაუმჯობესებისათ-
ვის ენენაბში პერიოდულად უნდა ჩატარდეს პლანტაციის განახ-
ლება ანუ ნიადაგის ღრმა გაფხვიერება: 12 და მეტი წლის
ვენენაბში — 4-6 წელიწადში ერთხელ მწყრივთაშორისების გა-
მოტოვებით, რის შედეგადაც გაუმჯობესდება ნიადაგური პი-
რობები და გააქტიურდება ფესვთა სისტემა, რაც უზრუნველ-
ყოფს ვაზის ზრდის სიძლიერესა და მოსავლიანობის მარე-
ბას.

9. ვაზის სიბერისა და მექანიკურ დაზიანებათა გამოს-
წორების მიზნით, ენენაბში პერიოდულად უნდა ვაჭარმოოთ
ვაზის გაახალგაზრდავების ის ღონისძიებები, რაზედაც ზემოთ
იყო საუბარი. ამის შედეგად ვაზი აღიღებს ენერგიას, გაძ-
ლიერდება და კვლავ წინაღულდება ვაზის არაპარაზიტულ
დაავადებათა წარმომშობ ფაქტორებს.

10. ვაზის არაპარაზიტული დაავადებებიდან ერთ-ერთი
მნიშვნელოვანია პათოლოგიური ყვავილცვენა, რომელსაც
სხვადასხვა მავნებელი და დაავადება იწვევს — როგორც
პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზემოქმედებით. ამ ავადმყო-
ფობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მავნებელ-დაავადე-
ბათა წინაღმდევ ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსის, კერ-

ძოდ, საკარანტინო, ფიზიკური, მექანიკური, აგროტექნიკური, სელექციური, ბიოლოგიური, ბიოტექნიკური და მცენარეული ქიმიური დაცვის საშუალებების ერთობლივი გამოყენებისთვის

ქიმიური მეთოდი, ჯერჯერობით კვლავ რჩება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მაღალი დონის შენარჩუნების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად; ქიმიური პრეპარატების (პესტიციდების) გამოყენება ძირითადად უნდა მოხდეს შესხურებით, შეფრქვევით, ნიაღავში შეტანით და უუმიგაციით. პესტიციდების გამოყენება სათანადო წესების გაცნობის და დაცვის გარეშე სასტიკად აკრძალულია. პესტიციდების შეტანა უნდა ბორციელდებოდეს სპეციალისტის ხელმძღვანელობით, რომელიც გაცნობილი იქნება უსაფრთხოების წესებს და რომელსაც გაცლილი ექნება სათანადო სამედიცინო შემოწმება.

ვაზის მავნებელ-დავადებათა წინააღმდევ ინშარება ქლორორვანული, ფოსფორ-ორგანული-სპილენზის და გოგირდის შემცველი ქიმიური. პრეპარტები, რომელთა გამოყენების დროსაც, განსაკუთრებით ყვავილობის პერიოდში, საკიროა მკაცრად იქნეს დაცული დოზები. წიმლობის ვადები და ჩერადობა, წინააღმდევ შემთხვევაში, შესაძლოა, თავიდან კი ავიცილოთ მავნე ორგანიზმების საზიანო მოქმედება, მაგრამ თავი იჩინოს ვაზის ყვავილელის ტაჭვამ და მოლიანად მცენარის დაზიანებამ.

პესტიციდების დოზების, მათი შეტანის ვადებისა და ჩერადობის დაცვით თავიდან ავიცილებთ ვაზის პათოლოგიური რვავილცვენის გამომწვევა მიზეზებს.

ზემოთ წარმოდგენილ ლონისძიებარი ვაზის ჩრდა-განვითარებისა და პრაცელსაყრელი პირობებისადმი კვამდლობის გარანტის იძლევა, რაც ზელს უწყობს ვაზის არაპარაზიტულ დავადებათა წინააღმდევ ამტანიანობას.



საქ. ქა ცენტრალური ბიბლიოთეკის წითელი დროშის თანდენობაზე
სტამბა. თბილისი, ლენინგრადი, 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства
ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



Нацвлишвили Василий Иосифович
Бурдули Иза Алексеевна
Питиуришвили Тенгиз Семенович
**НЕПАРАЗИТИЧЕСКИЕ ЗАБОЛЕВАНИЯ
ЛОЗЫ**

В помощь лектору

(На грузинском языке)

Общество «Знание» Грузинской ССР
Тбилиси, ул. Ленина, 47
1989



ବିଭାଗୀକରଣ 76016

10³⁰/୫୯ ॥

